პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

ლელო

№ 172 (6227)

1978 წ. 2 სექტემბერი, შაბათი. ფასი 3 კაპ.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ფიზკულტურისა და სპორტის კომიტეტისა და პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს ორგანო

ЛЕЛО Орган Комитета по физической культуре и спорту при Совете Министров ГССР и республиканского Совета профсоюзов

გაზეთი გამოდის 1934 წლის 13 აპრილიდან

# ევროპაში უძლიერესნი

საბჭოთა იუნიორ კალათბურთელთა გუნდის გამარჯვება

ნიკოლოზ დერიუგინი და ზურაბ გრძელიძე — კონტინენტის ჩემპიონები

...ტალიის ქალაქ როზეტო დელი ...ბრუცში დასრულდა ევროპის ჩემ...იონატი იუნიორ კალათბურთელ...ა შორის. ფინალურ მატჩში ერთ...ნეთს შეხვდნენ ესპანეთისა და ...ბჭოთა კავშირის გუნდები. მანამდე ...ხევარფინალურ მატჩებში ესპა...ელებმა დაამარცხეს იუგოსლავი...ლი თანატოლები — 87:36 (...2:42), საბჭოთა კალათბურთელებ...მა კი ბულგარელები — 121:83 (...53:36).

ფინალური შეხვედრა ძალზე სა...ინტერესო და დაძაბული გამოდგა. ...პირველი ტაიმი მოიგეს ჩვენმა ...სპორტსმენებმა — 56:54. შემდეგ ...საბჭოთა იუნიორებმა შეინარჩუნეს ...უპირატესობა და მატჩიც საბოლო...ოდ მათი გამარჯვებით დამთავრდა — 104:100.

გუნდი, რომელმაც ევროპის ჩემპიონის წოდება დაიმსახურა, წარმოდგენილი იყო ჩვენი ქვეყნის სხვადასხვა ქალაქის ახალგაზრდა კალათბურთელებით.

სასიხარულოა, რომ ჩემპიონთა რიგებში ორი თბილისელი დინამოელია — **ნიკოლოზ დერიუგინი და ზურაბ გრძელიძე.**

გადამწყვეტ მატჩში ყველაზე შედეგიანები სწორედ ისინი იყვნენ. დერიუგინმა კოლექტივს შესძინა 20 ქულა, გრძელიძემ — 18. ორივე სსრ კავშირის დამსახურებული მწვრთნელის ს. თორთლაძის აღზრდილია.

მესამე ადგილისათვის ბრძოლაში იუგოსლაველებმა სძლიეს ბულგარელებს — 95:72 (45:45) და ბრინჯაოს მედლებს დაეპატრონენ.





ნ. დერიუგინი (მარცხნივ) და ზ. გრძელიძე.

## ფეხბურთი

### უმაღლესი ლიგა

**ბუქში** ბაქოში გაიმართა საკავშირო ჩემპიონატის მორიგი მატჩი ადგილობრივ „ნეფთჩისა“ და თბილისის „დინამოს“ შორის. იგი დამთავრდა ფრედ — 3:3.

გოლები გაიტანეს: თბილისელთაგან — შენგელიამ (2) და ქორიძემ, ბაქოელთაგან — ბანიშევსკიმ, აბასოვმა და ჯავადოვმა.

სხვა შეხვედრები დამთავრდა ასეთი შედეგებით: „ფახთაქორი“ — „შახტიორი“ 2:1, „დინამო“ (კიევი) — „დინამო“ (მოსკოვი) 1:0, ცსკა — „ტორპედო“ 0:0, „არარატი“ — „ლოკომოტივი“ 1:1.

* * *

**თბილისის** „დინამოს“ სათადარიგო შემადგენლობა კვლავ ლიდერია. ეს ცნობილი გახდა მას შემდეგ, რაც დინამოელებმა ბაქოში ანგარიშით 2:1 დაამარცხეს მასპინძელთა გუნდი, ხოლო მოსკოვის „ტორპედოსა“ და ცსკა-ს სათადარიგო შემადგენლობის გუნდების შეხვედრა დამთავრდა ავტოქარხნელთა გამარჯვებით — 2:0.

დღეისათვის თბილისელებს 34 ქულა აქვთ, ხოლო ცსკა-ს — 33.

### პირველი ლიგა

31 აგვისტოს გაიმართა I ლიგის ფეხბურთელთა გუნდების საკავშირო გათამაშების მორიგი ტურის შეხვედრები.

ლენინგრადში თამაშობდნენ ადგილობრივი „დინამო“ და ქუთაისის „ტორპედო“. მატჩი დამთავრდა ფრედ — 0:0.

ტურის სხვა შედეგები ასეთია: „კუზბასი“ (კემეროვო) — „სპარტაკი“ (ორჯონიკიძე) 0:1, „ურალმაში“ (სვერდლოვსკი) — „თერგი“ (გროზნო) 1:1, „კრილია სოვეტოვი“ (კუიბიშევი) — „კოლხოზჩი“ (აშხაბადი) 3:0, „ყუბანი“ (კრასნოდარი) — „პამირი“ (დუშანბე) 1:0, „შინიკი“ (იაროსლავლი) — ასკ (დონის როსტოვი) 0:2, „დინამო“ (მინსკი) — „მეტალურგი“ (ზაპოროჟიე) 1:1, „ჟალგირისი“ (ვილნიუსი) — „ტავრია“ (სიმფეროპოლი) 1:1, „სპარტაკი“ (ივანო-ფრანკოვსკი) — „ნისტრუ“ (კიშინიოვი) 3:0, ასკ (ოდესა) — „კარპატი“ (ლვოვი) 2:1.

#### გათამაშების ცხრილი

მდგომარეობა 2 სექტემბრისათვის

| | თ. | მ. | ფ. | წ. | ბ. | ქ. |
|---|---|---|---|---|---|---|
| „კრ. სოვეტ“. | 27 | 15 | 9 | 3 | 38-17 | 39 |
| ასკ რ. | 27 | 13 | 11 | 3 | 48-26 | 37 |
| „დინამო“ მნ. | 28 | 12 | 10 | 6 | 36-25 | 34 |
| „ყუბანი“ | 27 | 12 | 9 | 6 | 37-26 | 33 |
| „კარპატი“ | 26 | 12 | 8 | 6 | 36-25 | 32 |
| „თერგი“ | 28 | 12 | 7 | 9 | 38-36 | 31 |
| „ნისტრუ“ | 28 | 12 | 7 | 9 | 36-28 | 31 |
| „ჟალგირისი“ | 27 | 7 | 14 | 6 | 27-25 | 28 |
| „ტორპედო“ | 27 | 10 | 7 | 10 | 28-25 | 27 |
| „ტავრია“ | 27 | 9 | 9 | 9 | 32-27 | 27 |
| „სპარ.“ ი.-ფ. | 28 | 10 | 5 | 13 | 30-40 | 25 |
| „კუზბასი“ | 27 | 9 | 7 | 11 | 27-35 | 25 |
| „შინიკი“ | 26 | 9 | 7 | 10 | 26-27 | 25 |
| ასკ ოდ. | 28 | 8 | 8 | 12 | 30-38 | 24 |
| „დინ.“ ლ. | 28 | 7 | 10 | 11 | 37-43 | 24 |
| „პამირი“ | 28 | 6 | 12 | 10 | 29-30 | 24 |
| „მეტალ.“ | 27 | 5 | 14 | 8 | 24-32 | 24 |
| „ურალმ.“ | 27 | 6 | 9 | 12 | 19-34 | 21 |
| „კოლხოზ.“ | 28 | 6 | 6 | 16 | 21-42 | 18 |
| „სპარტ.“ ორ. | 27 | 6 | 5 | 16 | 18-36 | 17 |

## რეგბი

**ოთხშაბათს** მოსკოვში გაიმართა უმაღლესი ლიგის გუნდების საკავშირო ჩემპიონატის ერთი მატჩი. ადგილობრივმა „ფილიმ“ გათამაშების ერთპიროვნულ ლიდერს — თბილისის „ლოკომოტივს“ უმასპინძლა და დაამარცხა იგი — 19:4. ახლა ორივე კოლექტივს 14-14 ქულა აქვს.

## სროლა

### ვერცხლის მედალი — თბილისელს

...ფინეთის ქალაქ ჰიამენლინში ...იმართება ევროპის ჩემპიონატი ...ტყვიის სროლაში იუნიორთა შორის. ამ ასპარეზობაში წარმატებით ...მოვიდა თბილისელი **ბ. კოკორე...** (მწვრთნელი, საქართველოს დამსახურებული მწვრთნელი **...გუჯარეიშვილი**), რომელმაც მცირეკალიბრიანი პისტოლეტის 50 ...მეტრზე სროლაში 565 ქულა მოაგროვა და ვერცხლის მედალი მოიპოვა. მას ორი ქულით აჯობა ...სსრ საბჭოთა სპორტსმენმა **...ბოკიანოვმა.**

...სსრ კავშირის ნაკრებმა ამ ვარჯიშში ევროპისა და მსოფლიოს ...იუნიორთა რეკორდები გააუმჯობესა.

## ფრენბურთი

### მოგებაც, წაგებაც

...ლენინგრადსა და ვოლგოგრადში ...იმართება ფრენბურთელ ქალთა ...გუნდების მსოფლიო ჩემპიონატის ...მეოთხედფინალური ტურნირები.

...ლენინგრადში, სადაც საბჭოთა ...ფრენბურთელები გამოდიან, ნახევარფინალური ტურნირის პირველ ...ტურში მათ დაამარცხეს ბრაზილიელები — 3:0, ხოლო შემდეგ დამარცხდნენ სამხრეთ კორეის გუნდთან — 0:3. სხვა მატჩები ასე დამთავრდა: სამხრეთ კორეა — პოლონეთი 3:0, ბულგარეთი — ჩინეთი 0:3, პოლონეთი — ბულგარეთი 1:3, ბრაზილია — ჩინეთი ...

...ვოლგოგრადში, სადაც დანარჩენი ექვსი გუნდი გამოდის, თამაშები ასე დამთავრდა: პერუ — ჩეხოსლოვაკია 3:2, გდრ — იაპონია ..., კუბა — აშშ 3:0, იაპონია — ...პერუ 3:1, აშშ — გდრ 3:0, ჩეხოსლოვაკია — კუბა 0:3.

## მატჩები მსოფლიო პირველობაზე

### მეხუთე პარტია

გასულ ოთხშაბათს ბიჭვინთაში ქალთა მსოფლიო პირველობაზე ნ. გაფრინდაშვილ — მ. ჩიბურდანიძის მატჩის V პარტია შედგა.

ნ. გაფრინდაშვილმა უფიმცევის დაცვა გაითამაშა. ამ რთულ დებიუტს მისთვის ხშირად მოუტანია წარმატება. ამჯერადაც მსოფლიო ჩემპიონმა დროულად დაამთავრა ფიგურების განვითარება და ლაზიერის ფრთაზე აქტიურ ოპერაციებს შეუდგა.

მ. ჩიბურდანიძემ ძირითადი ყურადღება მეფის ფრთას მიაპყრო და იერიშის აწყობას ფიქრობდა. ამ განზრახვის ხორცშესხმას თვით ნონამ შეუწყო ხელი, როცა მე-16 სვლაზე თავს დაესხა თეთრ მხედარს. გაიხსნა დიაგონალები და თეთრების ორმა კუმ დიდი სარბიელი მიიღო. ამასთან შესამჩნევად დასუსტდა შავი მეფის მისადგომები.

პრეტენდენტმა ჯერ პაიკი მოიგო, მერე პატარა კომბინაციით განმუხტა დაძაბულობა და გამსვლელი პაიკი აამოძრავა.

ცაიტნოტში მყოფმა მსოფლიო ჩემპიონმა მუდმივი ქიშის იმედით ეტლი შესწირა, მაგრამ აღმოჩნდა, რომ ჩიბურდანიძეს შეეძლო კუს დათმობით მუქარის მოგერიება და ზედმეტი ხარისხით დარჩენა. ასეც მოიქცა.

41-ე სვლაზე პარტია გადაიდო, მაგრამ გუშინწინ თამაშის განუახლებლად მსოფლიო ჩემპიონმა პარტია დათმო.

აი პარტიაც:

**ჩიბურდანიძე — გაფრინდაშვილი**

უფიმცევის დაცვა

**1. e4 d6 2. d4 მf6 3. მc3 g6 4. მf3 კg7 5. კe2 e6 6. a4 a5 7. 0-0 0-0 8. h3 მa6 9. ეe1 ლc7 10. კg5 h6 11. კe3 მფh7 12. ლd2 მb4 13. ეad1 კd7 14. მh2 b5 15. კf3 ba 16. მg4 h5 17. მ:f6+ ef 18. კf4 ეfe8 19. მ:a4 g5 20. კg3 g4 21. hg hg 22. კe2 f5 23. ef კ:f5 24. c3 მd5 25. კd3 კ:d3 26. ლ:d3+ მფg8 27. ლf5 მf6 28. ლf4 ლb7 29. ლ:d6 მe4 30. ე:e4 ე:e4 31. მc5 ლe7 32. მ:e4 ლ:e4 33. ეa1 a4 34. b3 კf8 35. ლf4 ლf6 36. ba ე:a4 37. ე:a4 ლb1+ 38. მფh2 ლh7+ 39. კh4 ლ:h4+ 40. მფg1 ლh5. შავები დანებდნენ.**

ამრიგად, ლიდერობს მ. ჩიბურდანიძე — 3,5:1,5.

დღეს, 2 სექტემბერს უნდა შედგეს მეექვსე პარტია, რომელშიც თეთრებით მსოფლიო ჩემპიონი ითამაშებს.

### კვლავ გადატანილია

გუშინწინ ბაგიოში (ფილიპინები) მსოფლიო პირველობაზე ა. კარპოვ — ვ. კორჩნოის მატჩში XVIII პარტია უნდა გათამაშებულიყო, მაგრამ პრეტენდენტმა კვლავ, უკვე მესამე, „ტაიმ-აუტი“ აიღო. ეს პარტია დღეს გაიმართება.

შეგახსენებთ, რომ ლიდერობს კარპოვი — 4:1. მატჩში გამარჯვებისათვის მას კიდევ ორი მოგება სჭირდება.

## ჭადრაკი

**პიატიგორსკში** დამთავრდა რუსეთის ფედერაციის მოჭადრაკე ქალთა ტრადიციული, XIII საერთაშორისო ტურნირი, რომელშიც 16 დიდოსტატი და ოსტატი მონაწილეობდა.

I-II ადგილები გაიყვეს დიდოსტატებმა ნ. ალექსანდრიამ (თბილისი) და ე. ახმილოვსკაიამ (კრასნოიარსკი) — 11,5-11,5.

ამ დღეებში ალექსანდრია იტალიას მიემგზავრება სსრ კავშირ-იტალიის კულტურის დღეებში მონაწილეობის მისაღებად.

**ბუდაპეშტის** ვაჟთა საერთაშორისო ტურნირში საბჭოთა დიდოსტატმა გ. კუზმინმა მასპინძელ დიდოსტატ ა. ადორიანთან III-IV ადგილები გაიყო. თითოეულმა 3,5 ქულა მოაგროვა.



## პირველად ქართული ცხენოსნობის ისტორიაში

**კიევში** დამთავრებულ ცხენოსანთა საკავშირო ჩემპიონატში („ცხენის გაწვრთნა“, დაბრკოლებათა გადალახვა) წარმატებით იასპარეზა ჩვენი რესპუბლიკის წარმომადგენელმა ავთანდილ კაკიანმა. თბილისელმა სპორტის ოსტატმა საქართველოს საცხენოსნო სპორტის ისტორიაში პირველად მოიპოვა ქვეყნის ჩემპიონის ოქროს მედალი „ცხენის გაწვრთნაში“. სპორტის ჯილდო კაკიანს წილად ხვდა საშუალო, № 2 პრიზის (5-დან 8 წლამდე ასაკის ცხენები) გათამაშებაში, მანვე ბრინჯაოს მედალი მოიპოვა № 1 პრიზის გათამაშებაში.

ახლა ა. კაკიანი სსრ კავშირის ნაკრების შემადგენლობაში მომავალი სპარტაკიადისა და მოსკოვის ოლიმპიური თამაშებისათვის ემზადება.

* * *

ს უ რ ა თ ზ ე: ა. კაკიანი ახპარუზოვისას.





# ახალ სასწავლო წელს — ბედნიერი სტარტი!

**გუშინ** საქართველოს ფიზკულტურის ინსტიტუტში გაიმართა საზეიმო მიტინგი, რომელიც ახალი სასწავლო წლის დაწყებას მიეძღვნა. ინსტიტუტის რექტორმა, დოცენტმა **ა. მელიამ** შეკრებილთ გააცნო **საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს, საქართველოს პროფსაბჭოსა და საქართველოს ალკკ ცენტრალური კომიტეტის მიმართვა.**

სტუდენტებსა და პროფესორ-მასწავლებლებს ახალი სასწავლო წლის დაწყება მიულოცეს: სპორტის დამსახურებულმა ოსტატმა **ზ. პაიჭაძემ**, ინსტიტუტის სკკპ ისტორიის კათედრის გამგემ, პროფესორმა **ქ. ივანიძემ**, პედაგოგიური ფაკულტეტის IV კურსის ფრიადოსანმა სტუდენტმა **ლია შარიკაძემ** და სხვებმა. პირველკურსელთა სახელით სიტყვით გამოვიდა **ლია კილაძე**.

შეკრებილებმა გამოთქვეს ღრმა რწმენა, რომ ახალ სასწავლო წელს, რომელიც პირველია სსრ კავშირისა და საქართველოს ახალი კონსტიტუციის მიღების შემდეგ, ფიზკულტურის ინსტიტუტის სტუდენტები უფრო მეტი მონდომებით დაეუფლებიან სასწავლო დისციპლინებს, ამრავლებენ სპორტულ გამარჯვებებს.

**სურათებზე: ახალი სასწავლო წლის დაწყებისადმი მიძღვნილი მიტინგი საქართველოს ფიზკულტურის ინსტიტუტში, მიკროფონთანაა პირველკურსელი ლია კილაძე.**

ჯ. კოტორაშვილის ფოტოები.

# დროის მოთხოვნის შესაბამისად

**გუშინ დაიწყო ახალი სასწავლო წელი. კვლავ ახმაურდა ჩვენი სკოლების, ტექნიკუმებისა და უმაღლესი სასწავლებლების ეზოები, დერეფნები, საკლასო ოთახები და აუდიტორიები. სწავლას შეუდგნენ საქართველოს ფიზკულტურის ინსტიტუტის სტუდენტებიც — სპორტის მომავალი სპეციალისტები, პედაგოგები, მწვრთნელები.**

**ჩვენს კორესპონდენტთან საუბარში ფიზკულტურის ინსტიტუტის რექტორმა არჩილ მელიამ თქვა:**

— რაც დრო გადის, სულ უფრო იზრდება ფიზიკური კულტურისა და სპორტის მნიშვნელობა, შესაბამისად კი — ამ დარგის მუშაკთა ავტორიტეტი და პასუხისმგებლობა. ამდენად, ჩვენი ინსტიტუტის წინაშე მეტად საპატიო ამოცანა დგას — ყოველმხრივ განათლებული, მაღალკვალიფიციური სპეციალისტების აღზრდა. დღეს რესპუბლიკის ფიზკულტურულ-სპორტულ მოძრაობას სწორედ ნოვატორი პედაგოგები და მწვრთნელები სჭირდება, ამიტომ სრულიად გასაგები და სამართლიანია ის დიდი მოთხოვნები, რასაც პარტია და მთავრობა უყენებენ ჩვენს უმაღლეს სასწავლებელს, თვით სტუდენტებს კი — ახალ, უფრო გაზრდილ მოთხოვნებს.

ზაფხულის არდადეგების დღეები ინსტიტუტის სტუდენტთა ერთმა ნაწილმა დასვენებისთვის გამოიყენა. ჩვენი აღსაზრდელების 60-კაციანი ჯგუფი ნაყოფიერად შრომობდა კომკავშირულ-დამკვრელურ მშენებლობაზე — კამაზის ავტოქარხნის ობიექტზე. მათ ბევრი ჯილდო და მადლობა დაიმსახურეს, სტუდენტთა უმრავლესობა კი სასწავლო-საწვრთნელ შეკრებაზე იმყოფებოდა და სხვადასხვა შეჯიბრებაში მონაწილეობდა. არდადეგების დღეებში წარმატებით იასპარეზეს და მაღალი სპორტული შედეგებით გაგვახარეს მძლეოსნებმა ს. გუმბამ, მოჭიდავემ თ. ნამგალაურმა, ფეხბურთელებმა ვ. დარასელიამ და რ. შენგელიამ, ინსტიტუტის ასპირანტმა თ. იმნაიშვილმა (სასტენდო სროლა) და სხვებმა.

დამთავრდა მორიგი მისაღები გამოცდები და ინსტიტუტს ახალი კონტინგენტი შეემატა. დღის განყოფილების 250 ადგილზე მისაღებ გამოცდებს 576 აბიტურიენტი აბარებდა, ხოლო დაუსწრებელი სწავლების ფაკულტეტის 100 ადგილზე 223 განცხადება იყო შემოსული. ყველა გამოცდა წარმატებით ჩააბარა და ინსტიტუტში ჩაირიცხა 350 ახალგაზრდა. მათ შორის არის 2 საერთაშორისო კლასის სპორტის ოსტატი, 53 სპორტის ოსტატი, 74 ოსტატობის კანდიდატი და 124 პირველთანრიგოსანი. როგორც მოყვანილი ციფრებიდან ჩანს, ჩარიცხულთა დიდი უმრავლესობა მაღალი კვალიფიკაციის სპორტსმენია, ამასთან, ბევრი მათგანი სოფლის მკვიდრია. უნდა აღინიშნოს ის ფაქტიც, რომ წლეულს აბიტურიენტთა საკმაოდ დიდი რაოდენობა კარგი ატესტატებით მოვიდა მისაღებ გამოცდებზე. ჩარიცხულთა შორის რვას წარჩინებულის დიპლომი აქვს.

საქართველოს ფიზიკური კულტურის ინსტიტუტი ჩვენი ქვეყნის მსგავს უმაღლეს სასწავლებლებს შორის დაარსების მე-40 წლისთავს მიმდინარე სასწავლო წელს იზეიმებს. ინსტიტუტის კოლექტივი ამ თარიღს გარკვეული წარმატებებით ხვდება, როგორც სასწავლო, ასევე სამეცნიერო-კვლევით და სპორტული მუშაობის დარგში. ვცდილობთ სტუდენტებს შევუქმნათ ყველა პირობა სწავლისთვის და სპორტული ოსტატობის ამაღლებისთვის. ყოველწლიურად უმჯობესდება მატერიალური ბაზა, აუდიტორიებისა და სასწავლო ლაბორატორია-კაბინეტების ტექნიკური აღჭურვილობა, იხვეწება სასწავლო პროგრამები, მაღლდება ლექცია-სემინარებისა და პრაქტიკული მეცადინეობების ხარისხი. ისეთ წამყვან დისციპლინებში, როგორიცაა ანატომია, ფიზიკური აღზრდის თეორია, ფიზიკური კულტურის ისტორია, ფიზიკური კულტურისა და სპორტის ორგანიზაცია, ტანვარჯიში, მძლეოსნობა და სხვა, შეიქმნა სახელმძღვანელოები და დამხმარე ლიტერატურა მშობლიურ ენაზე. უახლოეს ხანში ინსტიტუტს შეემატება თანამედროვე ტექნიკური საშუალებებით აღჭურვილი აუდიტორიები, მწყობრში ჩადგება სასწავლო საცურაო აუზი, დაიწყება სპორტული თამაშების სამდარბაზიანი კორპუსის მშენებლობა.

რესპუბლიკის სპორტსმენები ვაცხოველებით ემზადებიან სსრ კავშირის ხალხთა VII სპარტაკიადისა და მოსკოვის ოლიმპიური თამაშებისათვის. ამ პროცესში ინსტიტუტის კოლექტივსაც შეაქვს თავისი წვლილი. ინსტიტუტის სამეცნიერო-კვლევითი ბრიგადები კვლავ აქტიურ დახმარებას გაუწევენ რესპუბლიკის ნაკრებ გუნდებს, ხოლო ნაკრების წევრებს, რომლებიც ჩვენთან სწავლობენ, ყველა პირობა შეექმნებათ სწავლისა და ინტენსიური წვრთნა-ვარჯიშისთვის.

როგორც ზემოთ ითქვა, უკვე ოთხი ათეული წელიწადია ჩვენი ინსტიტუტი ფიზიკური კულტურისა და სპორტის სპეციალისტებისა და მწვრთნელ-მასწავლებლების აღზრდას ემსახურება. ამ ხნის მანძილზე ინსტიტუტში 6500-ზე მეტი სპეციალისტი მომზადდა. მათი დიდი ნაწილი ნაყოფიერად მუშაობს როგორც ჩვენს რესპუბლიკაში, ასევე მის ფარგლებს გარეთაც. ინსტიტუტის ხელმძღვანელობა, პროფესორ-მასწავლებლები კვლავაც ყველაფერს გააკეთებენ იმისთვის, რომ წარმატებით გადავჭრათ ჩვენს წინაშე მდგარი ამოცანები.

# დღე პირველი...

**პირველი** სექტემბერი, სასკოლო ზარის წკრიალა ხმა, პირველი გაკვეთილი... ის ნანატრი დღეც დადგა და აი, გოგო-ბიჭები სკოლისაკენ მიეშურებიან, თანაკლასელებთან, მეგობრებთან, პედაგოგ-აღმზრდელებთან მიიჩქარიან. უკან დარჩა ზაფხულის არდადეგები, პიონერული ცხოვრების რომანტიკული დღეები და დაიწყო ლაშქრობა დიდი მწვერვალის დასაპყრობად, სულიერი და ფიზიკური სრულყოფა რომ ჰქვია. ათეულ ათასობით ბავშვმა გუშინ პირველად შეაღო რესპუბლიკის ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების კარები, ასეულათასობით მოზარდი კვლავ დაუბრუნდა მშობლიურ სასწავლებელს.

ეს ფოტოსურათი გუშინ გადაიღო ჩვენმა კორესპონდენტმა. თბილისის 51-ე საშუალო სკოლის Xბ კლასის მოსწავლეები გულისყურით უსმენენ ფიზკულტურის მასწავლებელს **გ. გაბიტაშვილს**, რომელიც მათ ახალი სასწავლო წლის ამოცანებზე ესაუბრება.



ჯ. კოტორაშვილის ფოტო.

სპორტულ ბაზებს — მზრუნველი ხელი!

ეროვნული ბიბლიოთეკა

# მშენებლებმა უნდა დაუჩქარონ

**საქართველოს** პარტიულ-სამე-
ურნეო აქტივის 1977 წლის 2 ივ-
ლისის კრებისა და რესპუბლიკის
ხელმძღვანელი ორგანოების სხვ
დადგენილებების შესასრულებლად
საგრძნობი მუშაობა ჩატარდა სპო-
რტული ბაზების მშენებლობის,
რეკონსტრუქციისა და კეთილმო-
წყობისთვის.

ამ მიმართებით კარგად იშრომე
გურჯაანის, თერჯოლის, ლაგოდე
ხის, მახარაძის, ლანჩხუთის, გორ
ის, ქობულეთის რაიონების, თბი
ლისის, რუსთავისა და სოხუმი
სპორტულმა ორგანიზაციებმა და
უწყებებმა.

საშემოდგომო სპორტული სეზო
ნისა და, განსაკუთრებით, ახალ
სასწავლო წლისთვის ბაზების უკე
მომზადებისთვის საქართველო
სპორტკომიტეტის სპორტნაგებო
ბათა სამმართველომ შესაბამის ორ
განიზაციებთან ერთად ადრევე შე
იმუშავა ღონისძიება, რომლის შე
სრულებისთვის ბევრი გააკეთ
საქართველოს სსრ განათლების სა
მინისტრომ, განათლების საქალაქ
და რაიონულმა განყოფილებებმ
მარტო თბილისში 135 საშუალ
სკოლის დარბაზებსა და მოედნებ
გაუკეთდა კაპიტალური რემონტ
5 ბავშვთა სპორტსკოლაში ჩატა-
რდა მიმდინარე შეკეთება.

ამ ამოცანების წარმატებით გ
დაჭრა განაპირობა პარტიის თბი
ლისის საქალაქო კომიტეტის მიე
გასული სასწავლო წლის დამთა
რებისთანავე მიღებულმა სპეცი
ლურმა დადგენილებამ, რომელი
დედაქალაქის სკოლებსა და სა
ხოვრებელ ადგილებში მოქმედ
სპორტული ბაზების კეთილმოწყ
ბასა და სექტემბრისთვის მომზ
დებას გულისხმობდა.

ამ დადგენილების განხორციელე
ბის ხელმძღვანელობისთვის შე
მნა საქალაქო შტაბი, რომელშ
ძირითადად ფიზკულტურული მ
შაკები, რაიონების სპორტკომიტ
ტების თავმჯდომარეები შევიდნ
დადგენილების შესრულების მი
დინარეობა 20 აგვისტოს შეამოწ
თბილისის სპორტკომიტეტმა, რ
მელმაც აღნიშნა მიღწევები და ა
ხილა ნაკლოვანებები. მაგალით
შარშან თბილისის 16 საშუა
სკოლასთან დაიწყო საჭყუმპალო
ბის მშენებლობა, დღეისთვის
მზად მხოლოდ ორი მათგანია.

ბაზების საშემოდგომო სეზონ
თვის მოსამზადებლად კარგად იმ
შავა თბილისის სპორტნაგებობა
სამმართველომ, რომელმაც მნ
ვნელოვანი სარემონტო სამუშაო
ბის ჩატარების გარდა (შეკეთ
ტანვარჯიშის დარბაზი, ფრენბუ
თის მოედნები, ველოტრეკი, კ
ოვის პარკის კალათბურთის მოე
ნი), შეიძინა 18 ათასი მანეთ
სპორტინვენტარი, საგრძნობლ
გადაახალისა სპორტის თვალსაჩ
ნო აგიტაციის საშუალებანი.

მაგრამ ნაკლიც აქვთ: გვიან და
წყეს თბილისის სპორტკომიტეტ
საჭიდაო დარბაზის რემონტი; ა
დამაკმაყოფილებელ მდგომარეო
შია ლენინის სახელობის სპო
დარბაზი, რომლის კალათბურთ
ბაზა კაპიტალურად შეკეთდა,
რამ მწყობრიდან გამოსული სა
ბეს გაჭიანურებული რემონტი
ქმეს საგრძნობლად აფერხებს.

არადამაკმაყოფილებელ ტექ
კურ მდგომარეობაშია საქართვე
ოს სპორტკომიტეტისადმი დაქვ
დებარებული თბილისის სპორ
ლი ბაზები (ძალოსნობის დარბა
ფალავანთა კლუბი, დახურული
ზი). მათი შეკეთება „საქსპორტ
შენმა" დროულად დაიწყო. მაგ
მერე ტემპი შეანელა და გრაფ
დაირღვა.

მშენებელმა ორგანიზაციებმა
ლები არ უნდა დაზოგონ აღნ
ნული მდგომარეობის გამოსწ
რებლად, რათა სპორტული ბ
ბი ხალხის სამსახურში რაც შ
ლება მალე ჩადგეს.

ტ. ჩრიკიშვილ

**საქართველოს სპორტკომიტ
ტის სპორტნაგებობათა სამმ
რთველოს განყოფილების
მგე.**

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ლენტეხის უღრუბლო ზეცა

ჩვენი იქ ყოფნისას მთავრდებოდა მაღალი ძაბვის ელექტროდენის ხაზების გაყვანა.

ახლო მომავალში მოეწყობა სპორტული მოედნებიც. პირველ სტუმრებს კი გაისად მიიღებენ და „აილამას“ გამტარუნარიანობა ერთ ცვლაში ორას კაცამდე მიაღწევს.

„აილამას“ ბაზაზე კიდევ ბევრი რამ გაკეთდა, მაგრამ ეს ყველაფერი მედლის ერთი მხარეა. ახლა მეორე მხარეზეც გვინდა მოგითხროთ.

უპირველეს ყოვლისა, უგზოობა უნდა აღვნიშნო. ქუთაისიდან ლენტეხამდე მგზავრობა, ასე თუ ისე, ასატანია. აი, იქიდან კი...

ჩვენ რომ მივდიოდით, ისე ვჯაყჯაყებდით, ლამის ერთმანეთში ავითქვიფეთ. მერე იყო და მთიდან მოწყვეტილმა ორმა უზარმაზარმა ლოდმა გადაგვიღობა გზა. ქუთაისიდან 7 საათის მგზავრობის შემდეგ, როგორც იქნა, 150-მდე კილომეტრი გავიარეთ და ბანაკში ავაღწიეთ. რომ მივედით, მტვერში ისე ვიყავით ამოგანგლულები, დამხვდურებს ჩვენი ცნობა გაუჭირდათ.

ეს ყველაფერი დარში იყო. ავდარში შესაძლოა ბანაკამდე ვერც აგვეღწია.

**ისე,** ქუთაისიდან ბანაკში მოხვედრა შეიძლება თვითმფრინავითაც. უფრო ზუსტად, თუ ამინდი იქნა (მთაში ჩვენი მტერი დადგა ამინდის იმედზე. შეიძლება ერთი კვირა და უფრო დიდხანსაც იყურყუტოს კაცმა გამოდარების მოლოდინში), სულ რაღაც ოცდაათიოდე წუთში შეიძლება ჩაფრინდეთ სოფელ ჩიხარეშში. იქიდან, თუ ბედმა გაგიღიმათ და შემთხვევით რაიმე მანქანა შეგხვდათ (შემთხვევით იმიტომ, რომ ლენტეხიდან სოფელ ყორულდაშამდე, რომლის ზემოთაც ბანაკია გაშენებული, უგზოობის გამო სამარშრუტო ტრანსპორტი არ დადის), ხომ კარგი, თუ არადა 22-მდე კილომეტრი ფეხით უნდა იაროთ. არადა, ამ გზაზე უცხოელებიც დადიან.

მეორე პრობლემა, რომელიც ბანაკს აწუხებს, ისევ და ისევ, გარე სამყაროსთან კავშირია. მხედველობაში გვაქვს ფოსტა-ტელეგრაფით მომსახურება.. თუ გზა არ არის, ფოსტა-ტელეგრაფი მაინც უნდა მუშაობდეს, კარგად თუ არა, ცუდად მაინც. ოღონდ ძალიან ცუდად — არა. „აილამაში“ ზარე ერთ თვეს დავყავით. ატალახებული გვქონდა ყორულდაშის ფოსტის მისასვლელი და მაინც ერთხელაც ვერ მოვახერხეთ თბილისში დარეკვა.

ან კიდევ ასეთი მაგალითი: ბანაკში ერთი მსახიობი ქალი იყო. დეპეშა მიიღო: თხოვდნენ თორმეტში თბილისში იყავი, სპექტაკლი გვაქვსო. იმ დღეს კი უკვე თხუთმეტი იყო (მსახიობს ის ცნობა დროზეც რომ მიეღო, ალბათ თორმეტში მაინც ვერ იქნებოდა თბილისში — ტრანსპორტის პრობლემა გავიხსენოთ)... დეპეშა რომ ასე ხგვიანებს, წარმოიდგინეთ, წერილების საქმე როგორღა იქნება: თუ წერილს ათი დღის შემდეგ მიიღებთ, ეს უკვე ფოსტის მუშაკთა საოცარ ოპერატიულობად შეიძლება ჩაითვალოს.

ეს ყველაფერი, რაც ახლა გიამბეთ, საკუთარ თავზე გამოვცადეთ. მაგრამ თუ ჯოკია გუგავას ბანაკის სხვა გასაჭირზეც ჩამოუგდებთ სიტყვას, იმასაც გეტყვით, რომ სამშენებლო-სარემონტო სამუშაოების ჩატარებაში ტრანსპორტის უყოლობის გამო ხელი გვეშლებაო. იმასაც იტყვის, რომ ბანაკში ნორმალურ მეცადინეობას აფერხებს ინსტრუქტორთა ნაკლებობაო.

**როცა** ლენტეხის რაიონში ალპინიზმის განვითარების საჭირბოროტო საკითხებზე ვსაუბრობთ, შეუძლებელია გვერდი ავუაროთ მეკლდეურობას. თუმცა, სპორტის ამ ვაჟკაცური სახეობის, ისევე როგორც ალპინიზმის განვითარებისთვის, აქ შესანიშნავი პირობაა, მაგრამ ბუნებით მომადლებული სიმდიდრის გამოყენებისთვის სერიოზულად არავის უზრუნია. ყოველ შემთხვევაში, საქართველოს პირველობები ისე ტარდებოდა, რომ ლენტეხელები სათოფეზე არ ეკარებოდნენ კლდეებს. წლეულს, როგორც ჩანს, ყინული დაიძრა — ლენტეხში მეკლდეურთა სექცია გაიხსნა. ახალბედებმა ალიოშა გაზდელიანის „ქურაში“ დაიწყეს წრთობა და წლევანდელ რესპუბლიკურ შეჯიბრებამიც მიიღეს მონაწილეობა. თუმცა, დებიუტანტებს, როგორც მოსალოდნელი იყო, თავი არ გამოუჩენიათ, მაგრამ იმედი უნდა ვიქონიოთ, მომავალში გაგვახარებენ.

**რაიონის** მშრომელთა და ხელმძღვანელთა წინაშე სიტყვით რომ გამოდიოდა, ჯოკია გუგავამ ლენტეხის რაიონში სამთო-სათხილამურო სპორტის განვითარების პრობლემებზეც ისაუბრა. ამბობდა:

— „აილამა“ სრულწლიან ბანაკად უნდა გადაიქცეს და ამავე ბანაკის ბაზაზევე უნდა განვითარდეს სამთო-სათხილამურო სპორტიც. ამით ჩვენ ქართულ სპორტს დიდ საქმეს გავუკეთებთ. მაგრამ ეს არ მოხდება, თუ მთელი რაიონი მხარში არ ამოუდგება ბანაკს და მისი კეთილმოწყობის საქმეს პირველი რიგის სამოქმედო უბნად არ გახდის.

ჩვენ კი დავუმატებდით, რომ ეს არც მაშინ მოხდება, თუ სამთო-სათხილამურო სპორტის განვითარებისთვის საქართველოს სპორტული საზოგადოებრიობაც არ ამოუდგება მხარში ლენტეხელებს.

ლენტეხში სათხილამურო სპორტის განვითარებისთვის რომ დიდებული ბუნებრივი პირობებია, ამას მტკიცება არ ჭირდება. აქ ივლის-აგვისტოს პაპანაქება სიცხეშიც შეიძლება თხილამურებით სრიალი. ტრასების მოწყობა შეიძლება, მაგალითად, ზესხოს ხეობის რაიონში, ბანაკ „აილამას“ ზემოთ ალმართულ მთებზე. მაგრამ იმისთვის, რომ დღევანდელ პირობებში რაღაცას მიაღწიო, მხოლოდ ბუნებრივი პირობები არ კმარა. საჭიროა საბაგირო გზების გაყვანა და კიდევ მონდომება, ენთუზიაზმი, საქმის სიყვარული. თორემ განა სამარცხვინო არაა, აქაურ კაცს თბილისელმა აჯობოს თხილამურებით სრიალში, ან თუნდაც მეკლდეურობაში და ალპინიზმში?!

**როცა** ბაზებზე, მონდომებაზე, ენთუზიაზმზე და საქმის სიყვარულზე ვსაუბრობთ, ლენტეხელებს ისევ ლენტეხელი მოჭიდავეების მაგალითი გვინდა შევახსენოთ. განსაკუთრებით ძიუდოისტებისა და ქართული ჭიდაობის ოსტატებისა. აბა, გავიხსენოთ ტატამის ოსტატები: ჯ. ნიჟარაძე, ო. ზურაბიანი, დ. ხაბულიანი, ბ. გუგავა, ა. ზურაბიანი... მათ სახელებს მეტ-ნაკლებად კარგად იცნობენ არა მხოლოდ საქართველოში, არამედ თვით ძიუდოს სამშობლოშიც.

— არ იფიქროთ, რომ ჩვენს მოჭიდავეებს კარგი პირობები აქვთ, — გვიამბობს ლენტეხის რაიონის კომკავშირის კომიტეტის მეორე მდივანი სოსო მუკბანი, — ისინი ძირითადად ლენტეხის საშუალო სკოლის სპორტდარბაზში ვარჯიშობენ. უკეთესი პირობები რომ გვქონდეს, წარმატებებიც მეტი გვექნებოდა. მთელ რაიონში სპორტდარბაზი კიდევ ლენტეხის სკოლა-ინტერნატს, ჩიხარეშისა და ჩოლურის სკოლებს აქვთ. არადა რაიონში სულ თოთხმეტი სკოლაა. ის ხუთი ოთახიც, სპორტდარბაზს რომ ვუწოდებთ, ისეთია, გული მოგიკვდება. რახან სპორტულ სარბიელებზე ჩამოვარდა სიტყვა, იმასაც გეტყვით, რომ რაიონში გვაქვს ფეხბურთის ერთადერთი მინდორი და საბჭოთა მეურნეობების ხუთი მარტივი ტიპის სპორტული სარბიელი. უკანასკნელი წლის მანძილზე საცხოვრებელი ადგილის მიხედვით ათი მარტივი ტიპის სპორტული მოედანი მოვაწყვეთ. მართალია, ჩვენი რაიონი პატარაა, სულ 14 ათასამდე კაცი ცხოვრობს (აქედან 2300 კომკავშირელია), მაგრამ ერთი ნორმალური სპორტდარბაზი მაინც გვჭირდება. ბაზებს რომ დიდი მნიშვნელობა აქვს სპორტული შედეგების ზრდაში, ეს ცხადია. ერთ ასეთ მაგალითს გეტყვით. შარშან, როცა ტყიბულში მშდ-ს მრავალჭიდელთა ზონალური პირველობა ტარდებოდა, შეჯიბრების სტარტზე არავის ჩამოვრჩებოდით. მაგრამ აი, როცა ტყვიის სროლაზე მიდგა საქმე, თავი შევირცხვინეთ. ცურვაზე ხომ ლაპარაკიც ზედმეტია — ერთ-ერთი ჩვენი რაიონის წარმომადგენელი ჩემი გადასარჩენი გახდა, რომ არ დამხრჩვალიყო. სხვა რაიონებში, სადაც აუზი არ აქვთ, ასე თუ ისე, მდინარეში შეიძლება ასწავლონ ცურვა. ჩვენს ყანჭულივით მდინარეებში, რომლებიც საოცარი სისწრაფით მიაგორებენ მღვრიე ტალღებს, დამეთანხმებით, ცურვის სწავლა შეუძლებელია. ისე არ გაგვიგოთ, თითქოს ჩვენს ჩამორჩენას მხოლოდ ბაზების უქონლობას ვაბრალებდეთ. თუმცა, ეს ერთ-ერთი უპირველესი პირობაა, მაგრამ საქმის სიყვარულიცაა საჭირო, ისეთი, როგორიც ჩვენს მოჭიდავეებს აქვთ, ისე მომავალს იმედის თვალით შევყურებთ. გვჯერა, ჩვენც გვექნება კარგი სპორტდარბაზები და მოედნები, გვჯერა, ჩვენი მშვილდოსნებისა თუ ლელობურთელებისა, რომლებმაც წლეულს დაიწყეს ვარჯიში. დაიწყეს და „კოლმეურნის“ რესპუბლიკურ პირველობაზე IV ადგილიც დაიკავეს. დასაწყისისთვის, ვფიქრობ, ცუდი შედეგი არაა, — გვითხრა საუბრის დასასრულს სოსო მუკბანმა.

ვერაფერს ვიტყვით, მუკბანი ცამდე მართალია. დარბაზებიც საჭიროა, მოედნებიც, საქმის სიყვარულიცა და მომავლის რწმენაც.

**ჯოკია** გუგავასთან ერთად „აილამადან“ ლენტეხისკენ მივემგზავრებოდით. ისეთი ავდარი იყო, კაცი იფიქრებდა წარღვნა დაიწყოო. დედამიწა საშრობივით ხარბად იწოვდა შხაპუნა წვიმას.

ვხედავთ, გზაზე ორი ზურგჩანთამოკიდებული ტურისტი მოდის. ეტყობათ, ჩვენებურები არ უნდა იყვნენ. არად აგდებენ არც წარღვნას, არც ატალახებულ გზას. გვაოცებს მათი შეუპოვრობა.

მანამდე ერთმა ვოლგოგრადელმა ქალმა გაგვაოცა, რომელსაც ჩრდილოეთ კავკასიიდან დაუწყია მოგზაურობა, უზარმაზარი ზურგჩანთა აუკიდია, მარტოდმარტო რამდენიმე უღელტეხილი გადმოულახავს, მთელი ზემო სვანეთი შემოუვლია და „აილამაში“ ჩამოსულა. მერე იყო და უშგულში ეს ორი ტურისტი შეგვხვდა. გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკიდან იყვნენ. ნახევარი საქართველო ზურგჩანთებით შემოუვლიათ. ერთ-ერთ მათგანს მთელი მსოფლიო მოუვლია და მაინც გაოცებული იყო უშგულის კოშკებით, საქართველოს მრავალფეროვანი ბუნებით, სტუმართმოყვარე ადამიანებით. მაგრამ კიდევ უფრო გაოცებული გვეკითხებოდა, საქართველო ასეთი ზღაპრული მხარე ყოფილა და თქვენი რესპუბლიკის შესახებ რატომ არაფერს გვასწავლიდნენ სკოლაშიო.

ერთი სიტყვით, ლენტეხის რაიონში ერთი თვის განმავლობაში უამრავი ტურისტი შევგვხვდა. სამწუხაროდ, მათ შორის ვერც ერთი ქართველი ვერ ვნახეთ. ქართველი კაცი კი ძველთაგანვე მოგზაურობის მოყვარული ყოფილა. ბევრი ჩვენგანი მხოლოდ წიგნებით, ალბომებით, ბუკლეტებითა და ნაამბობით იცნობს საქართველოს.

სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის განვითარების 1976-1980 წლების ძირითად მიმართულებებში საქართველოს შესახებ ნათქვამია: „უზრუნველვყოთ შავი ზღვის სანაპიროზე და მთიან რაიონებში საკურორტო ზონებისა და ტურისტული ბაზების შემდგომი განვითარება“. ბუნებრივია, ეს ლენტეხის რაიონსაც ეხება. ამ მიზნით ლენტეხში ტურბაზის მშენებლობა დასასრულს უახლოვდება და პირველ სტუმრებს გაისად მიიღებს.

და მაშინ, როცა ლენტეხის რაიონში აშენდება და გაფართოვდება ტურბაზების ქსელი, როცა მოეწყობა კურორტები, გზები და საბაგირო ტრანსპორტი, მაშინ მთელი სიმძლავრით ამოქმედდება „ტურიზმის ინდუსტრია“, რომელიც მხოლოდ და მხოლოდ სიკეთის მომტანი იქნება როგორც რაიონისთვის, ისე მთელი რესპუბლიკისთვის.

და კიდევ ერთი, თუ შეიძლება ასე ითქვას, ტურიზმის წმინდა სპორტულ მხარეზე. ლენტეხის რაიონში შესანიშნავი ბუნებრივი პირობებია ქვეითი ტურიზმის, განსაკუთრებით სამთო ტურიზმის განვითარებისთვის. აქ არც მთებია ცხრა მთას იქით და არც უღელტეხილები. და მაინც, ისე ტარდება საქართველოს სამთო ტურისტთა შეკრება-შეჯიბრებები, რომ მასში ერთი ლენტეხელიც არ მონაწილეობს. კაცს ისეთი შთაბეჭდილება გრჩება, თითქოს აქ არც გაეგონოთ სამთო ტურიზმის არსებობა.

* * *

მწვერვალ „ვახუშტიზე“ ვდგავართ და ქვემო სვანეთის სოფლებს გადავცქერით 4000 მეტრის სიმაღლიდან. მწვერვალებისთვის ერთობ უჩვეულო, წყნარი დარია. საოცრად ლურჯ ზეცაში ერთი ნაფლეთი ღრუბელიც არა სჩანს. არც შორს, ჰორიზონტზე ჩანან ღრუბლები.

და მაშინ, როცა მწვერვალიდან ვეშვებოდით, როცა ვემშვიდობებოდით „ვახუშტის“, თან მოგვყვებოდა რწმენა იმისა, რომ ქვემოთ, ხევხუვებში ჩაკარგული სოფლების შვილებს, მათ სპორტსმენებსაც უახლოეს ხანში ისეთივე უღრუბლო ზეცა ექნებათ, როგორც აქ, ცნობილი ქართველი გეოგრაფის სახელობის მწვერვალის თავზე იყო. მოგვყვებოდა იმისი რწმენაც, რომ ლენტეხელები უფრო მაღალ და რთულ მწვერვალებს დაიპყრობენ.

**ა. ბურასაშვილი.**
**(ჩვენი სპეც. კორ.).**
ლენტეხის რაიონი.

* * *

**სურათებზე:** ლენტეხელ მეკლდეურთა ვარჯიშის მომენტი; მწვერვალ „ვახუშტიზე“; რაიონის მეკლდეურთა სექციის წევრები: მ. გუგავა, ლ. ჭელიძე, მ. გუგავა ვ. ჭელიძე და მათი აღმზრდელი ა. გაზდელიანი ვარჯიშის დაწყების წინ.

ავტორის ფოტოები.







დასასრული. იხ. „ლელო“ № 170.

# სპორტული სექტემბერი

შემოდგომის პირველი თვე მდიდარია ჩვენს რესპუბლიკაში შეჯიბრებებით. აი, კალენდარიც.

2—30. **ჭადრაკი.** ქალთა მსოფლიო ჩემპიონატის ფინალური ტურნირი. ბიჭვინთა.

3—5. **მძლეოსნობა.** საქართველოს ჩემპიონატი. თბილისი.

4—9. **ლელო.** საქართველოს ჩემპიონატი (მეორე წრე). ჩოხატაური.

5—11. **ცხენოსნობა.** საქართველოს ჩემპიონატი. გუდაუთა.

8—11. **საწყლოსნო თხილამურები.** საქართველოს ჩემპიონატი მოზრდილთა შორის და 1960-61 წლებში დაბადებულთა რესპუბლიკური პირველობა. თბილისი.

10—17. **აფროსნობა და ვინდსერფინგი.** საქართველოს ჩემპიონატი. სოხუმი.

12—17. **წყალბურთი.** საქართველოს საუწყებო ჩემპიონატი. თბილისი.

12—18. **რაგბი.** 1955-57 წლებში დაბადებულთა რესპუბლიკური პირველობა. ქუთაისი.

14—17. **ქართული ჭიდაობა.** საქართველოს სოფლის სპორტსმენთა III თამაშების პროგრამით (ზონალური შეჯიბრებები). [illegible] ქუთაისი.

15—17. **მშდ კომპლექსის მრავალჭიდი.** საქართველოს ზონალური პირველობანი. რუსთავი, ახალციხე, ზუგდიდი, სამტრედია, ტყიბული, ჭიათურა, ხაშური.

14—18. **ფრენბურთი.** საქართველოს დასავლეთის რაიონების ზონალური პირველობა. ცაგერი.

15—18. **მძლეოსნობა.** სსრ კავშირის ჩემპიონატი. თბილისი.

15—19. **ფარიკაობა.** გოგონებისა და ჭაბუკების რესპუბლიკური შეჯიბრება. ზესტაფონი.

16—30. **შაში.** საქართველოს ქალთა ჩემპიონატი საერთაშორისო შაშში. გორი.

18—24. **ხელბურთი.** უმაღლესი ლიგის ვაჟთა გუნდების საკავშირო ჩემპიონატის მესამე წრე. თბილისი.

19—22. **საწყლოსნო თხილამურები.** საქართველოს თასი. თბილისი.

19—23. **ფრენბურთი.** საქართველოს აღმოსავლეთის რაიონების პირველობა. თელავი.

20—23. **ძალოსნობა.** 1956-58 წლებში დაბადებულთა რესპუბლიკური პირველობა. ჩაქვი.

20—24. **კრივი.** 1959-60 წლებში დაბადებულთა რესპუბლიკური პირველობა. ქუთაისი.

24—25. **ციგაობა.** საქართველოს ჩემპიონატი გორგოლაჭებიანი ციგებით. ბაკურიანი.

24—30. **სათხილამურო რბოლა.** საქართველოს პირველობა გორგოლაჭებიანი თხილამურებით. ბაკურიანი.

25—29. **მშვილდოსნობა.** საქართველოს თასი. ზათუში.

25—29. **ტყვიის სროლა.** საქართველოს თასი ოლიმპიურ ვარჯიშებში. სოხუმი.

25. IX-1. X. **ტრეკზე რბოლა.** სსრ კავშირის ჩემპიონატი ექვსდღიან წყვილთა რბოლაში. თბილისი.

27—30. **ქართული ჭიდაობა.** საქართველოს სოფლის სპორტსმენთა III თამაშების პროგრამით (ზონალური შეჯიბრებები). თიანეთი, გეგეჭკორი.

27—30. **მშდ კომპლექსის მრავალჭიდი.** საქართველოს პირველობა. ფინალური ასპარეზობა. ჭიათურა.

27. IX-4 X. **ხელბურთი.** საქართველოს ჩემპიონატი პირველი ჯგუფის ქალთა გუნდებს შორის. თბილისი.

28. IX-1. X. **კლასიკური ჭიდაობა.** საქართველოს თასი. სოხუმი.

29. IX-1. X. **აკადემიური ნიჩბოსნობა.** საქართველოს ჩემპიონატი. ფოთი.

## მძლეოსნობა

# რეკორდები პრაღის სტადიონზე

მძლეოსანთა ევროპული ჩემპიონატის მეორე დღეს სამართლიანად უწოდეს „დამსახურებულ გამარჯვებათა დღე“. საქმე იმაშია, რომ ოქროს მედლებისთვის დავაში ფავორიტების უპირატესობა აშკარა იყო.

ერთი დღით ადრე პრაღაში ვაჟებმა პირველი ჯილდოები 10 ათას მეტრზე რბენაში გაითამაშეს. ოქროს მედალი ერგო 27 წლის ფინელ მ. ვაინიოს — 27.31,0, იტალიელმა ვ. ორტისმა და ა. ანტიპოვმა (სსრ კავშირი) ბრძოლა ერთად დაამთავრეს — ისინი ჩემპიონს 0,5 წამით ჩამორჩნენ, მაგრამ ორტისი მკერდით წინ აღმოჩნდა და „ვერცხლიც“ მისი საკუთრება გახდა. ანტიპოვმა მესამე ადგილი დაიკავა და საბჭოთა კავშირის რეკორდი დაამყარა.

ჩემპიონატის მეორე დღე უფრო უხვმოსავლიანი გამოდგა. 20 კილომეტრზე სპორტულ სიარულში რ. ვიზერმა (გდრ) მსოფლიო მიღწევა გააუმჯობესა — 1:23.11,5. საბჭოთა სპორტსმენმა პ. პოჩენჩუკმა ბრინჯაოს მედალი მოიგო. იგი ჩემპიონს 32,5 წამით ჩამორჩა.

მაყურებელთა შორის ყველაზე დიდ ინტერესს მაინც სიგრძეზე ხტომაში ქალთა შეჯიბრება იწვევდა, ათიათასობით გულშემატკივარს აინტერესებდა რას იზამდა ფინალში ვილნიუსელი ვ. ბარდაუსკენე, მსოფლიოში პირველი და ჯერჯერობით ერთადერთი ქალი, ვინც 7 მეტრს იქით გადახტა (მან საკვალიფიკაციო ასპარეზობაში თავისივე მსოფლიო რეკორდი — 707 სმ 2 სმ-ით გააუმჯობესა).

ბარდაუსკენე ახლა მხოლოდ გამარჯვებაზე ფიქრობდა. სველი ბილიკი სპორტსმენს ყველა შესაძლებლობათა გამოვლენის საშუალებას არ აძლევდა. მართალია, ამჯერად რეკორდი მიუწვდომელი დარჩა, მაგრამ ვილნიუსელმა ქალმა ოქროს მედალი მაინც მოიგო — 688 სმ. მომდევნო ადგილები ერგოთ ა. ფოიგტს (გდრ) — 679 სმ და ი. ნიგრინოვას (ჩეხოსლოვაკია) — 669.

სპრინტმა ახალი ჩემპიონები დაასახელა. ქალებში იმარჯვა მ. ჰერმა (გდრ) — 11,13. ნახევარფინალში მოსკოველმა ლ. მასკალოვამ სსრ კავშირის „ელექტრონული“ რეკორდი გააუმჯობესა — 11,14, მაგრამ ფინალში ფინიშთან იგი მხოლოდ მესამე მივიდა — 11,3. აქ იგი შვედ ლ. ჰაგლუნდს 0,02 წამით ჩამორჩა.

ვაჟთა შორის საბჭოთა სპრინტერებს „ოქრო“ არ მოუპოვებიათ, მაგრამ მწვრთნელებს წარმატებად მიაჩნიათ, რომ ფინალში სამი ჩვენი ათლეტი მონაწილეობდა. უკრაინელმა ვ. იგნატენკომ ბრინჯაოს მედალიც მიიღო — 10,37. მას მხოლოდ იტალიელმა პ. მენეამ (10,27) და ო. რაიმ (გდრ) აჯობეს.

საბჭოთა სპორტსმენებიდან ამ დღეს ვერცხლის მედალი ერგო ვიტებსკელ შუბისმტყორცნელ ნ. გრებნიოვს (87,82 მ). ჩემპიონი გახდა დასავლეთგერმანელი მ. ვესინგი — 89,12.

გდრ-ს მძლეოსნებს 2 ოქრო ხვდათ წილად. ქალთა შორის ბირთვის კვრაში მსოფლიო რეკორდსმენმა, მასპინძელმა ჰ. ფიბინგეროვამ პირველობა „დაუთმო“ ი. სლუპიანეკს, რომლის შედეგია 21,41 მ. ფიბინგეროვამ მასთან 55 სმ წააგო. ბრინჯაოს მედალი მიიღო მ. დრიოზემ (გდრ) — 20,58 მ. ს. კრაჩევსკაია (სსრ კავშირი) მეოთხე ადგილზე დარჩა — 20,13 მ.

ჩემპიონის თანაგუნდელმა მ. კოხმა ადვილად მოიგო ქალთა შორის 400 მეტრზე რბენა. მან თავისივე მსოფლიო რეკორდი 0,08 წამით გააუმჯობესა. კოხის შედეგია 48,94 წამი.

ჩემპიონატის მესამე დღე ქალთა შორის 800 მეტრზე ასპარეზობაში საბჭოთა მძლეოსნების ტრიუმფით აღინიშნა: სამივე ღირსების მედალი მათ მოიგეს. ჩემპიონი გახდა ლენინგრადელი ტ. პროვიდოხინა, რომელმაც ისე, როგორც ბრიანსკელმა ნ. მუშტამ 1.55,8 წამი აჩვენა, ხოლო ვლადივოსტოკელმა ზ. რიგელმა ფინიშამდე მისვლას 1 წუთი, 56,6 წამი მოანდომა. სამივეს დრო ევროპის ადრინდელ რეკორდს აღემატება.

**ბუშინ** ქალთა შორის სიმაღლეზე ხტომაში იტალიელმა სარა სიმეონიმ მსოფლიო რეკორდსმენის ტიტულს ევროპის ჩემპიონის ტიტულიც დაუმატა. სპორტსმენი ქალი 201 სანტიმეტრზე გადებულ თამასას გადაევლო.

## ივანიშვილების 18 გოლი

**ალმა-ათაში** გაიმართა „დინამოს“ ცენტრალური საბჭოს პირველობა უფროსი ასაკის (1960-61 წელს დაბადებულნი) ჭაბუკ წყალბურთელთა შორის. თბილისის გუნდმა (მწვრთნელები ბ. მეგედი და ტ. ივანიშვილი) დაამარცხა კიევისა (8:6) და ლვოვის (6:4) კოლექტივები. ფრედ (5:5) ითამაშა მოსკოვის გუნდთან და წააგო აუზის მასპინძლებთან—ალმაათელებთან. საბოლოო ჯამში თბილისელები II ადგილზე გავიდნენ, ტურნირის საუკეთესო თავდამსხმელი იყო ზურაბ ივანიშვილი — 12 ბურთი. მისი ძმის დავითის ანგარიშზეა 6 ბურთი. გუნდში გამოირჩეოდნენ, აგრეთვე, მეკარე გ. ტუკვაძე და თავდამსხმელი დ. გვახარია.

ბ. ქვათაძე.

## ობერსტდორფის საციგურაოზე

**გფრ-ის** ქალაქ ობერსტდორფში საერთაშორისო ტურნირის ბოლო დღეს ორი გამარჯვება მოიპოვეს ამერიკელმა ფიგურული ციგურაობის ოსტატებმა. ქალებში ყველას აჯობა 17 წლის ე. დოტსონმა, — 133,16 ქულა, ხოლო ვაჟებში — ა. შრამმა — 136,62. სპორტული წყვილების ასპარეზობაში უძლიერესნი იყვნენ კანადელები ბ. ანდერხილი და პ. მარტინი — 76,26 ქულა.

## უხვი ნადავლით

**ორიოლის** მიდამოებში დამთავრდა საკავშირო ჩემპიონატი პლანერიზმში. ქალთა შორის ყველას აჯობა ტალინელმა ნ. რიატიპოვამ, ხოლო ვაჟებში მოსკოველმა ო. პესაჩნიკმა, რომლებმაც იმის გარდა, რომ აბსოლუტური პირველობა მოიგეს და დიდი ოქროს მედლები მიიღეს, თვითეულმა მათგანმა ცალკეულ ვარჯიშებში 3-3 მცირე ოქროს, 2-2 ვერცხლისა და თითო ბრინჯაოს მედალი მოიპოვა.

## მოტოსპორტი

**ბონევილის** მარილიანი ტბების ირგვლივ მოწყობილ ცნობილ ტრასაზე ამერიკელმა დ. ვესკომ მოტოციკლით რბოლაში აბსოლუტური მსოფლიო რეკორდი დაამყარა — საათში მონაკვეთზე 512,733 კმ სისწრაფით გაიქროლა. ეს მისსავე ძველ მიღწევას 6,733 კილომეტრით სჯობს. რეკორდსმენის მოტოციკლზე ორი 1000-1000 კბ სმ-ის მოცულობის ტურბოძრავა იდგა, ხოლო საწვავად სპირტს იყენებდა.

# პირველ ადგილებზე

ლიპეცკსა და ანგარსკში დამთავრდა ოსტატთა გუნდებთან არსებული მოზარდ ფეხბურთელთა მოსამზადებელი ჯგუფების საკავშირო ნახევარფინალური ტურნირები.

ორივე გათამაშებაში წარმატებას მიაღწიეს საქართველოს გუნდებმა. ლიპეცკში პირველ ადგილზე გავიდა თბილისის „დინამო“, ხოლო ანგარსკში — თბილისის „ავაზა“.

## „კოსმოსი“ — მსოფლიოს ნაკრები 2 : 2

**ნიუ იორკი, 31 აგვისტო.** ნიუ ჯერსის ქალაქ ისტ-რაზერფორდის სტადიონზე 51 ათასი მაყურებელი დაესწრო საერთაშორისო მატჩს ფეხბურთში ჩრდილოეთ ამერიკის ლიგის ჩემპიონს — ნიუ იორკის „კოსმოსსა“ და მსოფლიოს ნაკრებს შორის. მატჩი დამთავრდა ფრედ — 2:2. ნაკრების მხრივ ბურთები გაიტანეს ბრაზილიელმა რიველინომ და მექსიკელმა კუელარმა, ხოლო „კოსმოსიდან“ — კინალიამ და სენინეუმ. აღნიშნავენ ჰოლანდიელი კრუიფის საუკეთესო თამაშს.

მსოფლიო ნაკრები ასეთი შემადგენლობით გამოდიოდა: ლეაო (ბრაზილია), ოლგინი (არგენტინა), ოსკარი (ბრაზილია), რიისბერგენი (ჰოლანდია), ტარანტინი (არგენტინა), ბონეკი (პოლონეთი), გალიეგო (არგენტინა), რიველინო (ბრაზილია), ლატო (პოლონეთი), კუბილასი (პერუ), რეპი (ჰოლანდია). შემცვლელ მოთამაშეებად მინდორზე გამოვიდნენ ირანელები დანიფარი და ესკანდარიანი, პოლონელი დეინა, ბრაზილიელი ბატისტა, ტუნისელი ტემიმე და მექსიკელი კუელარი.

## ფეხბურთი

**დანიის** ნაკრებმა ევროპის პირველობაზე ინგლისელებთან შესარჩევი მატჩისთვის მზადების პროგრამით თავის მინდორზე ამხანაგური საერთაშორისო მატჩი ჩაატარა შვეციის გუნდთან და გაიმარჯვა ანგარიშით 2:1.

**არგენტინის** ფეხბურთის ფედერაციამ მიიღო დადგენილება, რომლის მიხედვით ქვეყნის ფეხბურთელებს ეკრძალებათ უცხოეთში გამგზავრება. თუ რომელიმე მოთამაშე უკვე გამოდის საზღვარგარეთის გუნდში, მან თავის ხელშეკრულებაში უნდა შეიტანოს პუნქტი, რომლის თანახმადაც 1982 წლის მსოფლიო ჩემპიონატის დაწყებამდე 2 თვით ადრე მიიღებს უფლებას ივარჯიშოს არგენტინის ეროვნულ ნაკრებში.

**სტატისტიკოსებმა** გამოიანგარიშეს, რომ გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის ბოლო 2 წლის ჩემპიონატების მანძილზე მიუნჰენის „ბაიერნმა“ მოწინააღმდეგეთა მინდვრებზე ჩაატარა 27 კალენდარული მატჩი და ვერც ერთი გამარჯვება ვერ მოიპოვა (9 ფრე და 18 დამარცხება), გატანილი და მიღებული ბურთების უარყოფითი შეფარდებით 22:63.

**არგენტინის** „რივერ პლეიტმა“, რომლის შემადგენლობაში გამოდიან მსოფლიო ჩემპიონები ფილოლი, ლუკე და სხვანი, მოიგო საერთაშორისო ტურნირი მადრიდში. ფინალში არგენტინელებმა ანგარიშით 4:3 დაამარცხეს „ატლეტიკო“. III ადგილზეა ინგლისის „დერბი ქაუნთი“, რომელმაც მოუგო ესპანეთის „რაიო ვალეკანოს“ — 5:4. აღსანიშნავია, რომ ორივე შემთხვევაში ბრძოლის ბედი გადაწყვიტა დამატებითმა პენალტებმა.

**ცნობილი** ფრანგი ფეხბურთელი პლატინი ვერ ითამაშებს მიმდინარე წლის ბოლომდე. ეროვნული ჩემპიონატის მატჩში „სენ-ეტიენთან“ იგი სერიოზულად დაშავდა და ხანგრძლივ მკურნალობას საჭიროებს.

## ჩემპიონატები, ცხრილები, ლიდერები

### შვეიცარია

II ტურში ყურადღების ცენტრში იყო „გრასჰოპერსისა“ და „ფკ ციურიხის“ შეხვედრა. გაიმარჯვა „გრასჰოპერსმა“ — 2:1, რომელიც ლიდერობს 4 ქულით. 3-3 ქულა აქვთ „სერვეტს“ (ჟენევა), „შენუას“ (ჟენევა), „იანგ ბოისს“ (ბერნი) და პირველ ლიგის დებიუტანტს „ჩიასოს“.

### ნორვეგია

აქ ახლა მეორე წრის გადამწყვეტი თამაშები მიმდინარეობს. 15 ტურის შემდეგ 22-22 ქულა აქვთ „ლილესტრიომსა“ და კრისტიანზანდის „სტარტს“, „ვიკინგი“ და „ბრინი“ მათ 4-4 ქულით ჩამორჩებიან და ჩემპიონობისთვის ბრძოლის პრაქტიკული შანსები, ეტყობა, აღარა აქვთ.

### დანია

18 ტურის შემდეგ 25 ქულით წინ არის „ვეილე ბკ“. მას ერთი ქულით ჩამორჩება „ბ 1903 კოპენჰაგენი“. 22-22 ქულა აქვთ „ოდენზე ბკ-ს“, „ბკ კოპენჰაგენს“ და „აარჰუს გფ-ს“.

### შვეცია

14 ტურის შემდეგ პირველი ადგილისთვის ძირითადად იბრძვის 3 გუნდი: „ოესტერსი“, „მალმიო“ (21-21 ქულა) და „კალმარი“ (20 ქულა). მიმომხილველებს მიაჩნიათ, რომ პირველ ადგილს მაინც „მალმიო“ უნდა დაეუფლოს.

### შოტლანდია

აქ ჩემპიონატი ისევ 10 გუნდის მონაწილეობით მიმდინარეობს, 4 წრედ. 2 ტურის შემდეგ 4-4 ქულით I-II ადგილებზე არიან „აბერდინი“ და „სელტიკი“ (გლაზგო).

## ყველაფერი

### [illegible] რენსენბრინკი

გამოჩენილი ჰოლანდიელი ფეხბურთელი რენსენბრინკი მეტისმეტად აუღელვებელი ადამიანია. როდესაც ჰოლანდიელმა ჟურნალისტებმა უკმაყოფილება გამოთქვეს პერუელებთან მატჩის გამო, რენსენბრინკმა მიუგო:

— რა მოხდა მერე? 1974 წელს ჩვენ უფერული ფრე გავაკეთეთ შვედებთან, მაგრამ ამას ხელი არ შეუშლია მსოფლიოს ვიცე-ჩემპიონები გავმხდარიყავით.

როდესაც ჰოლანდიელებმა ცუდად ითამაშეს შოტლანდიელებთან, რენსენბრინკმა ჟურნალისტებს უთხრა:

— ტრაგედია არ მომხდარა. 1974 წელს გფრ-ის გუნდმა წააგო გდრ-ის ნაკრებთან, მაგრამ სულ რამდენიმე დღის შემდეგ მსოფლიო ჩემპიონი გახდა.

### შეცდომით...

ვატიკანმა წმინდანთა რიცხვს მიაკუთვნა ამერიკელი ფეხბურთელი ბრიუს სმითი, რომელიც 1967 წელს გარდაიცვალა. ეს მამრობითი სქესის პირველი ამერიკელია, რომელიც კათოლიკურმა ეკლესიამ წმინდანად გამოაცხადა.

სმითის ესოდენი პატივი იმით იქნა დასაბუთებული, რომ პატერმა, რომლის მრევლსაც ფეხბურთელი ეკუთვნოდა, თქვა: „იგი უდიდესი რწმენით გამოირჩეოდა, სისტემატურად მღეროდა რელიგიურ ჰიმნებს“.

სმითის ძველი კოლეგისა და მეგობრის ჯ. ნამათის აზრით, ყველაფერი ეს შეცდომით მოხდა. „უბრალოდ, პატერმა რელიგიურ ჰიმნად მიიღო საფეხბურთო მარში „როდესაც წმინდანები ალეუმზე არიან“, რომელსაც სმითი მართლაც ხშირად მღეროდა“.

### ხელოვნება მსხვერპლს მოითხოვს

ამერიკელმა კომიკოსმა მსახიობმა ჯორჯ ბერნსმა, რომელიც 82 წლისაა, ტანვარჯიშის გაკვეთილების მიღება დაიწყო.

აი, რა უთხრა მან კორესპონდენტებს:

— ფილმში „ო, ღმერთო!“ მე სასწაულმოქმედი ღმერთის როლს ვთამაშობ. იმისათვის, რომ ჩემს ასაკში სასწაული მოვიმოქმედო, საჭიროა დიდი ყურადღება მივაქციო ფიზიკურ მომზადებას.

### ერთადერთი ნუგეში

კანადის პროვინცია კვებეკის მცხოვრებთა სპეციალური გამოკითხვის შედეგად გამოირკვა, რომ მათ შორის ყველაზე პოპულარულია ჰოკეის კლუბ „მონრეალ კანადიენსის“ უძლიერესი მოთამაშე გ. ლეფლერი. კვებეკის პრემიერ-მინისტრი რ. ლევესკი მეორე ადგილზე გავიდა, თუმცა გამარჯვებულს დიდად ჩამორჩა.

ამასთან დაკავშირებით პრემიერ-მინისტრმა განაცხადა:

— ერთადერთი სანუგეშო ჩემთვის ის გახლავთ, რომ გა ლეფლერს ჯერჯერობით პოლიტიკური ამბიციები არ გააჩნია, თორემ...



კიდევ ერთი „რეკორდსმენი“ გამოჩნდა ბრიტანეთის კუნძულებზე. იგი გახლავთ კეიტ კოლგოუნი, რომელიც 12 მოტოციკლეტს გადაახტა.

## ფრე ბრაზილიელებთან

**მატჩი** დაიწყო. ბრაზილიელები ტრადიციულ ზოლებიან მაისურებში თამაშობენ. აღიარებულ სამხრეთამერიკულ სწრაფ და შემტევ ფეხბურთს ქართველმა ფეხბურთელებმაც მაღალი ტემპი დაუპირისპირეს...

ბრაზილიის სანავსადგურო ქალაქ რიო-გრანდეს სტადიონზე მოსული უამრავი მაყურებელი, რა თქმა უნდა, ყოველმხრივ ამხნევებდა თავის გუნდს, მაგრამ საქართველოს საზღვაო სანაოსნოს ტანკერ „ზუგდიდის“ მეზღვაურთა გუნდმა ღირსეული მეტოქეობა გაუწია ბრაზილიელ მოყვარულ ფეხბურთელებს — მატჩი დამთავრდა ფრედ — 0:0.

მართალია, „ზუგდიდელებმა“ ბრაზილიელებს ვერ ძლიეს, მაგრამ გამანადგურებელი ანგარიშით 8:2 მოუგეს ბანგლადეშის ნავსადგურ ჩიტა-გონგის გუნდს, სადაც ქართველმა მეზღვაურებმა ჩაიტანეს ტვირთი.

„ზუგდიდზე“ კარგად არის ორგანიზებული სპორტული მუშაობა. ეწყობა გემის პირველობა ჭადრაკში, შაშში, მაგიდის ჩოგბურთში, ბაგირის გადაძალვაში...

ო. მურვანიძე.

რედაქტორი ა. ბასილაია.

გაზეთი გამოდის ყოველდღე, გარდა ორშაბათისა და პარასკევისა. რედაქციის მისამართი: 380096, თბილისი, ლენინის ქ. № 14. დეპეშებისთვის — თბილისი, „ლელო“.
ტელეფონები: რედაქტორი — 99-56-14, 93-97-50; რედაქტორის მოადგილე — 99 56-47; პასუხისმგებელი მდივანი — 93-97-52; განყოფილებები: ფეხბურთის — 99-81-71, 93 97-56; მასობრივ-ფიზკულტურული მუშაობის — 93-97-55; სპორტის პროპაგანდის — 93 97-57; მოსწავლე და სოფლის ახალგაზრდობის — 93-97 58; ჭადრაკის — 93-97-20; სამხატვრო — 93-97-52; წერილების — 93-97-54; კორექტორები — 93-97-49; გამომშვები — 93-98-81; ფოტოლაბორატორია — 93 97-58; მემანქანეები — 93-97-51.

ИНДЕКС 66433

საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის გამომცემლობის სტამბა. თბილისი, ლენინის ქ. № 14.

უგ. 02187